WIZZ Discount Club-ის ზოგადი წესები და პირობები

1.

ინტერპრეტაცია

1.1.

Wizz Air-ის გადაზიდვის ზოგად პირობებში (GCC) განსაზღვრულ ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვს წინამდებარე ზოგად წესებსა და პირობებში (GTC) გამოყენებისას, თუ ქვემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული ან კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს.

1.2.

GCC-სა და GTC-ს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება GTC-ს დებულებებს.

2.

განმარტებები

2.1.

აპი: Wizz Air-ის მობილური აპლიკაცია, რომელიც დაკავშირებულია ვებსაიტთან და იმართება Wizz Air-ის მიერ ან მისთვის და რომელშიც შესაძლებელია ჯავშნების გაფორმება.

2.2.

ჯავშანი: Wizz Air-ის ერთ ან მეტ რეისზე ბილეთის ჯავშანი (ნებისმიერი დამატებითი სერვისით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დადასტურებულია ჩვენ მიერ.

2.3.

ბრენდირებული საკრედიტო ბარათი: Wizz-ის საკრედიტო ბარათები, რომლებიც გაიცემა სხვადასხვა ბანკის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში.

2.4.

გადაზიდვის ზოგადი პირობები (ან GCC): Wizz Air-ის გადაზიდვის ზოგადი პირობები, რომლებიც გამოქვეყნებულია ვებსაიტზე და დროდადრო იცვლება Wizz Air-ის მიერ.

2.5.

იტალიის ადგილობრივი რეისი: Wizz Air-ის მიერ შესრულებული ავიარეისი მარშრუტზე, რომელიც პირდაპირ აკავშირებს იტალიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ორ (2) პუნქტს.

2.6.

წევრი ან თქვენ: პირი, რომელიც დასახელებულია Wizz Discount Club-ის წევრად, კლუბის წევრობაზე განაცხადის შეტანისას.

2.7.

ფასიანი წევრობა: WIZZ Discount Club-ის იმ ტიპის წევრობა, რომელიც ხელმისაწვდომია გარკვეული საფასურის სანაცვლოდ (როგორიცაა: Standard წევრობა, Standard Plus წევრობა, Premium წევრობა, Premium Plus წევრობა)

2.8.

ვებსაიტი: www.wizzair.com.

2.9.

WIZZ Discount Club ან კლუბი: WIZZ Discount Club ან კლუბი არის წინამდებარე GTC-ს საფუძველზე და მის შესაბამისად უზრუნველყოფილი Wizz Air-ის სპეციალური შეთავაზებების ნაკრები, რომელიც წევრებს ანიჭებს კონკრეტულ პრივილეგიებს წინამდებარე დოკუმენტში მითითებულის შესაბამისად.

2.10.

Wizz Air ან ჩვენ: Wizz Air-ის სუბიექტი (Wizz Air Hungary Ltd, Wizz Air UK Ltd, Wizz Air Malta Ltd, Wizz Air Abu Dhabi LLC ან Wizz Air-ის ნებისმიერი სხვა სუბიექტი), რომელიც ასრულებს იმ რეისს, რომლის ბილეთთან ერთადაც შეიძინეთ WIZZ Discount Club-ის წევრობა და რომელიც გასცემს ინვოისს WIZZ Discount Club-ის წევრობის შეძენისთვის.

3.

WIZZ Discount Club-ის წევრობის ტიპები

3.1.

Light წევრობა: ამ უფასო წევრობის მფლობელები მიიღებენ მცირე პრივილეგიებს, ფასდაკლებებს, (უფრო მცირეს, ვიდრე ფასიანი წევრობის მფლობელები მიიღებენ) და შეთავაზებებს, გადახდის ვალდებულების გარეშე.

3.2.

Standard წევრობა: ეს წევრობა პრივილეგიებს სთავაზობს წევრს და დამატებით ერთ (1) თანამგზავრს.

3.3.

Standard Plus წევრობა: ამ წევრობის ფარგლებში პრივილეგიებს მიიღებს წევრი და კიდევ მაქსიმუმ ხუთი (5) თანამგზავრი.

3.4.

Premium წევრობა

ეს წევრობა პრემიუმ პრივილეგიებს სთავაზობს წევრს და კიდევ ერთ (1) თანამგზავრს.

3.5

Premium Plus წევრობა

ამ წევრობის ფარგლებში პრივილეგიებს მიიღებს წევრი და კიდევ მაქსიმუმ ხუთი (5) თანამგზავრი.

4.

გაწევრიანებისა და გაუმჯობესების პროცესი

4.1.

შეგიძლიათ გახდეთ Wizz Discount Club Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus-ის წევრი:

(ა) ონლაინ, ჩვენს ვებსაიტზე ან აპში ჯავშნის გაფორმებისას — ჩვენი ბილეთის დაჯავშნისას კლუბის წევრობის შეძენის და წევრობის წლიური გადასახადის სრულად გადახდის მეშვეობით;

(ბ) ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით, როდესაც ჯავშანს გააფორმებთ — ჩვენი საინფორმაციო ცენტრის გამოყენებით წევრობის შეძენისა და კლუბის წევრობის წლიური გადასახადის სრულად გადახდის მეშვეობით.

4.2.

Wizz Discount Club-ის Light გეგმაში გაწევრიანება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ჩვენს ვებსაიტზე და აპში, ასევე, ონლაინ, ჯავშნის გაფორმების პროცესში. გაწევრიანების წინაპირობაა ჩვენი სპეციალური შემოთავაზებების საინფორმაციო ბიულეტენის გამოწერა. უფასო წევრობა მოქმედებს გადახდის ყოველგვარი ვალდებულების გარეშე. ჩვენი საინფორმაციო ბიულეტენების გამოწერის გაუქმება ნებისმიერ დროს

შეგიძლიათ როგორც ჩვენს ვებსაიტზე, ისე აპში, ასევე, საინფორმაციო ბიულეტენში გამოწერის გაუქმების ბმულზე დაწკაპუნების მეშვეობით. თუ გამოწერას გააუქმებთ, Light გეგმის წევრობა ძალაში დარჩება და არ მიიღებთ შეტყობინებებს Light გეგმის წევრობის დამატებითი ან ახალი ტიპის პრივილეგიების შესახებ.

4.3.

Light წევრობის გაუმჯობესება Standard/Standard Plus/Premium ან Premium Plus წევრობაზე შესაძლებელია დაჯავშნის პროცესში 4.1 მუხლში აღწერილი ინსტრუქციის შესაბამისად.

4.4.

თქვენ გახდებით WIZZ Discount Club Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus-ის წევრი, როცა სრულად გადაიხდით საფასურს დაჯავშნის ბოლოს და Wizz Air გასცემს მარშრუტის დასტურს.

4.5.

თუ კლუბში გაწევრიანდებით და შეიძენთ Wizz Discount Club Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus (სტანდარტული თუ ჯგუფური) წევრობას, ავტომატურად ისარგებლებთ WIZZ Discount Club Light-ის წევრებისთვის შეთავაზებული პრივილეგიებითა და ფასდაკლებებით.

4.6.

თუ Standard წევრობა გაქვთ, თქვენ შეგიძლიათ მისი გაუმჯობესება Standard Plus/Premium/Premium Plus წევრობით დაჯავშნის პროცესში, 4.1 მუხლში აღწერილი ინსტრუქციის შესაბამისად.

4.7.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, უარი ვუთხრათ წევრობაზე ნებისმიერ პირს განმარტების გარეშე, ხოლო წევრის მხრიდან GTC-ს, GCC-ს, ვებსაიტის მომსახურების პირობების ან ნებისმიერი კანონისა თუ რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შევუწყვიტოთ მას წევრობა.

5.

წევრობის საფასურის გადახდა

5.1.

Wizz Discount Club Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus წევრობის შეძენისას თქვენ გეკისრებათ წევრობის სრული წლის საფასურის გადახდა. წლიური

საფასურის გადახდა შესაძლებელია საბანკო ბარათით, საბანკო გადარიცხვით და/ან WIZZ კრედიტით. გადახდის ალტერნატიული მეთოდები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს თქვენი ინვოისის მისამართის ან შერჩეული ვალუტის მიხედვით.5.2.

წევრობის საფასურის ოდენობა გეცნობებათ შეძენის დროს და მოცემული იქნება ვებსაიტზეც.

6.

წევრობის პრივილეგიები

6.1.

WIZZ Discount Club-ის წევრობა საშუალებას აძლევს წევრებს, ისარგებლონ კლუბის სპეციალური ტარიფებით, რომლებიც მიუწვდომელია წევრობის არმქონეთათვის, ასევე, სხვა პრივილეგიებით, რომელთა შესახებაც გეცნობებათ წევრობის შეძენის მომენტში ან მოგვიანებით.

6.2.

Wizz Air იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, დროდადრო შეიტანოს ცვლილებები თავისი მარშრუტების ქსელში (მათ შორის და არა მხოლოდ, შეაჩეროს ერთი ან მეტი მარშრუტი).

6.3.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევცვალოთ პრივილეგიები ნებისმიერ დროს, თუმცა ვალდებულებას ვიღებთ, რომ ამის შესახებ წინასწარ გაცნობოთ (გამონაკლისია უფასო წევრობის პრივილეგიები, რომლებიც წინასწარ შეტყობინების გარეშეც შეიძლება შეიცვალოს). პრივილეგიების შესახებ მიმდინარე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ჩვენს ვებსაიტზე, სექციაში WIZZ ინფორმაცია და სერვისები. თუ რომელიმე ასეთ ცვლილებას არ ეთანხმებით

, შეგიძლიათ, შეწყვიტოთ თქვენი წევრობა ვებგვერდის, აპლიკაციის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს ამჟამინდელი GTC-ს 8.7 მუხლი.

6.4.

თუ ბილეთს ჯავშნით განსხვავებულ ვალუტაში, თქვენ მიერ დაზოგილი თანხა შეიძლება შეიცვალოს ვალუტის გაცვლითი კურსების მიხედვით.

6.5.

პრივილეგიები ვრცელდება WIZZ Discount Club-ის წევრსა და იმავე ჯავშანში მითითებულ მის თანამგზავრებზე, თუ ჯავშანში მითითებული თანამგზავრების სრული რაოდენობა არ აღემატება WIZZ Discount Club-ის წევრობის შეძენილი ტიპის მიხედვით განსაზღვრულ ბენეფიციართა რაოდენობას. Premium Plus წევრობის პრივილეგიები ვრცელდება წევრსა და მის ერთ (1) თანამგზავრზე. დანარჩენი თანამგზავრები სარგებლობენ Standard Plus-ის წევრის პრივილეგიებით.

6.6.

პრივილეგიები არ ეხება მგზავრ(ებ)ს, რომლ(ებ)ისთვისაც ცალკე ჯავშანი გააფორმეთ.

6.7.

წევრებს არ მიენიჭებათ პრივილეგიები და არც თანხა დაუბრუნდებათ იმ ჯავშნებისთვის, რომლებიც გაფორმდა წევრობის შეძენამდე.

6.8.

კლუბის წევრობის სხვისთვის გადაცემა დაუშვებელია. თუ თქვენი წევრობის არაავტორიზებულ გამოყენებას შეამჩნევთ, დაუყოვნებლივ უნდა გვაცნობოთ ამის შესახებ.

6.9.

WIZZ Discount Club-ში წევრობის გამყიდველი სუბიექტის მიუხედავად, წინამდებარე GTC-ს მიხედვით პრივილეგიები გეკუთვნით Wizz Air-ის ყველა სუბიექტის რეისებზე.

6.10.

პრივილეგიები ვრცელდება კონკრეტული რეისის მხოლოდ ერთ ჯავშანზე, WIZZ Discount Club-ში წევრობის ტიპის შესაბამისად. კონკრეტულ რეისზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი ჯავშნის გაფორმება WIZZ Discount Club-ში წევრობის მეშვეობით. წინამდებარე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, Wizz Air იტოვებს შესაბამისი ჯავშნ(ებ)ის გაუქმების უფლებას.

7.

ზოგადი დებულებები

7.1.

Wizz Air-ის ყველა სახის პრომოაქციაზე, ტარიფსა თუ სხვა სპეციალურ შემოთავაზებაზე მოქმედებს კონკრეტულად ამ შემთხვევებისთვის შემუშავებული წესები და პირობები. Wizz Discount Club-ის პრივილეგიების გამოყენება სხვა

შემოთავაზებებთან ერთად დაუშვებელია, თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

7.2.

კლუბის წევრობით შეძენილი ბილეთები და/ან სერვისები არ უნდა იყოს გამოყენებული კომერციული შეთავაზებების სახით თქვენ ან მესამე მხარის მიერ, მათ შორის და არა მხოლოდ, ინტერნეტ-აუქციონებზე ან სხვა ინტერნეტ-პლატფორმებზე.

7.3.

იმისათვის, რომ ჯავშნის სხვა მგზავრებმა ისარგებლონ წევრობის პრივილეგიებით, თქვენ, ჯავშნის შეცვლის შემთხვევაში, უნდა იზრუნოთ ჯავშანში ერთ-ერთ მგზავრად დარჩენაზე. თუ ჯავშნიდან თავს ამოიღებთ, დანარჩენ მგზავრებზე გავრცელდება სტანდარტული ტარიფი და სხვაობის გადაუხდელობის შემთხვევაში, შეიძლება, ჯავშანი გავაუქმოთ.

7.4.

კლუბის წევრობის შეძენისას უნდა მიუთითოთ ზუსტი და ნამდვილი პერსონალური მონაცემები, რომლებიც უნდა შეინარჩუნოთ წევრობით სარგებლობისას. თუ ზემოაღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებთ, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევწყვიტოთ თქვენი წევრობა ჩვენი შეხედულებისამებრ.

7.5.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ცალმხრივად შევიტანოთ შესწორებები ამ GTC-ში ნებისმიერ დროს, რასაც ვებსაიტზე ჩასწორებული GTC-ს გამოქვეყნებით გაცნობებთ.

7.6.

თუ აქ სხვაგვარად არ არის მითითებული, ჩვენს ვებსაიტზე კლუბის წევრობით გაფორმებულ ჯავშნებზე ან შეძენილ სერვისებზე გავრცელდება რეისის შემსრულებელი Wizz Air-ის სუბიექტის GCC.

8.

მოქმედების ვადა და შეწყვეტა

8.1.

Wizz Discount Club Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus წევრობა იწყება წევრობის შეძენისას და თქვენ მიერ წევრობის საფასურის სრულად გადახდისას. Wizz Discount Club-ის უფასო წევრობა იწყება, როდესაც დაეთანხმებით წინამდებარე

GTC-ს და გამოიწერთ სპეციალური შემოთავაზებების ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენს.

8.2.

Wizz Discount Club Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus წევრობა მოქმედებს 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში, რომელთა ათვლაც იწყება წევრობის შეძენის

დღეს.

Wizz Discount Club-ის უფასო წევრობა ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.

8.3.

თუ Wizz Discount Club-ის უფასო წევრობით სარგებლობთ და მას Wizz Discount Club Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus წევრობით გააუმჯობესებთ, ახალი წევრობის მოქმედების 12-თვიანი პერიოდი დაიწყება შეძენის დღეს. თუ Wizz Discount Club Standard ან Premium წევრობით სარგებლობთ და მას განაახლებთ Wizz Discount Club Standard Plus-ის ან Premium Plus წევრობით, Standard Plus ან Premium Plus წევრობის მოქმედების ვადა დაკორექტირდება და გაუთანაბრდება Standard ან Premium წევრობის დარჩენილ ვადას (მაგალითად, თუ თქვენ Standard-ის წევრი ხართ უკვე 6 თვის განმავლობაში და მას განაახლებთ Standard Plus წევრობით, თქვენს Standard Plus წევრობას მოქმედების ვადაც 6 თვეში გაუვა).

8.4.

Wizz Discount Club Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus წევრობის შეწყვეტის, გაუქმების ან ვადის გასვლის შემდეგ თქვენ ვეღარ ისარგებლებთ კლუბის წევრის პრივილეგიებით. WIZZ Discount Club Light წევრობა შეიძლება შეწყდეს ჩვენი მხრიდან ან თქვენ მიერ გაუქმებით, რის შემდეგაც კლუბის წევრის პრივილეგიებით აღარ ისარგებლებთ.

8.5.

Standard/Standard Plus/Premium/Premium Plus წევრობის შეწყვეტის, გაუქმების ან ვადის გასვლის შემთხვევაში თქვენი წევრობა ავტომატურად დაქვეითდება და გახდება Light Wizz Discount Club. თუ არ გსურთ Light Wizz Discount Club-ის წევრობაზე გადასვლა, შეწყვიტეთ ის 8.4 მუხლის მიხედვით.

8.6.

ჩვენ უფლება გვაქვს, ნებისმიერ დროს შეგიწყვიტოთ წევრობა, თქვენთვის წერილობითი შეტყობინების გამოგზავნით.

8.7.

გაითვალისწინეთ, რომ თუ წევრობის შეწყვეტას გადაწყვეტთ, წევრობის საფასური არ დაგიბრუნდებათ (არც მთლიანად და არც ნაწილობრივ).

9.

WIZZ Discount Club-ის წევრობა თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათების მფლობელთათვის

9.1.

თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათის მფლობელებს ეკუთვნით WIZZ Discount Club-ის ფასიანი წევრობა წევრობის საფასურის გადახდის გარეშე ან Light წევრობა, თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათის გამცემ ბანკთან შეთანხმების მიხედვით. ნაგულისხმევად, WIZZ Discount Club-ის ფასიანი წევრობა თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათებისთვის მოიცავს WIZZ Discount Club Standard ან WIZZ Discount Club Standard Plus წევრობას. Wizz Discount Club-ის ფასიანი წევრობის მქონე თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათის მფლობელები ავტომატურად იღებენ Light წევრობას.

9.2.

თანაბრენდირებულ ბარათთან დაკავშირებული WIZZ Discount Club-ის წევრობა მოქმედია 12 თვით. WIZZ Discount Club-ის წევრობა აქტიურდება საკრედიტო ბარათის მფლობელის მიერ საკუთარი WIZZ ანგარიშის ონლაინ გააქტიურების მომენტში.

9.3.

ბრენდირებულ ბარათთან დაკავშირებული WIZZ Discount Club-ის წევრობა ავტომატურად გახანგრძლივდება კიდევ ერთი წლით, თუ საკრედიტო ბარათი მოქმედია.

9.4.

თუ თქვენ გეკუთვნით Wizz Discount Club-ის ფასიანი წევრობა თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათის ფლობის გამო და თქვენ გააუმჯობესებთ თქვენს წევრობას, გაუმჯობესებული წევრობის მოქმედების ვადა დაკორექტირდება და გაუთანაბრდება თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათის მოქმედების ვადას (მაგალითად, თუ თქვენ 1-ელ იანვარს გააააქტიურეთ თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათი, რომელიც მოიცავს Wizz Discount Club-ის Standard წევრობას, შემდეგ კი გააუმჯობესეთ ის Wizz Discount Club-ის Standard Plus წევრობაზე ივლისში, Standard Plus წევრობასაც ვადა 31 დეკემბერს გაუვა). თანაბრენდირებულ საკრედიტო

ბარათთან დაკავშირებული WIZZ Discount Club Standard-ის წევრობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ WIZZ Discount Club Standard Plus-ის წევრობით. თანაბრენდირებულ საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული WIZZ Discount Club-ის Standard Plus წევრობის გაუმჯობესება შეუძლებელია.

9.5.

საკრედიტო ბარათების იმ მფლობელებს, რომლებიც უკვე არიან WIZZ Discount Club-ის გადამხდელი წევრები, 9.1 მუხლში განმარტებული პირობების თანახმად, ეკუთვნით თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათი.

9.6.

საკრედიტო ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის ან საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული ხელშეკრულების ბანკისა თუ საკრედიტო ბარათის მფლობელის მიერ შეწყვეტის შემთხვევაში Wizz Air იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს WIZZ Discount Club-ის ფასიანი წევრობა ან დააქვეითოს ის Light დონის წევრობაზე.

9.7.

თანაბრენდირებული საკრედიტო ბარათების იმ მფლობელებზე, რომლებიც უკვე არიან WIZZ Discount Club-ის მოქმედი წევრები, ვრცელდება წინამდებარე წესებისა და პირობების ყველა დებულება მე-9 მუხლის შესაბამისად.

10.

მარეგულირებელი კანონმდებლობა

10.1.

წინამდებარე GTC რეგულირდება უნგრეთის კანონმდებლობით. უნგრეთის სასამართლოებს აქვთ არაექსკლუზიური იურისდიქცია ნებისმიერ სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო დავაში, რომელიც წარმოიშობა ამ GTC-დან ან მასთან დაკავშირებით. თუ თქვენ ხართ

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს რეზიდენტი, თქვენ ასევე შეგიძლიათ საქმის წარმოება

წევრი სახელმწიფოების სასამართლოებში.

ძალაში შესვლის თარიღი: 2023 წლის 4 დეკემბერი